პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გელა მინდიკაურის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, V ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გელა მინდიკაურის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე                    გიორგი ტყემალაძე



გელა მიმდიკაურის ქ.
V ქუჩა
III ქუჩა
UN1880689
01.19.25.002.062
01.19.25.002.017
01.19.25.002.041
01.19.25.002.061
01.19.25.002.083
01.19.25.002.082
01.19.25.002.013
01.19.25.002.063
01.19.25.002.034
01.19.25.002.054
01.19.25.001.143
01.19.25.002.064
01.19.25.002.070
01.19.25.002.012
01.19.25.002.040
UN1880406
UN1883351
UN1880097
UN1882804
UN1880107
01.19.25.003.028
01.19.25.003.031
01.19.25.003.061
01.19.25.003.069
01.19.25.004.048
01.19.25.004.052
01.19.25.005.025
01.19.25.005.016
01.19.25.005.003
01.19.24.008.042
01.19.24.008.024
01.01.834
01.02.812
01.01.817
01.00.259

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდების და სიმბოლოების კომისიას.

კომისიის თავჯდომარეს ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის. ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს. ძალიან მძიმე არის ქალბატონი ლიზა მინდიკაური, ჯუდა ბულა მინდიკაურის საავადმყოფოში წევს. მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ადვილი არ არის ეზოსთვის ჩვენის სი- ავდოდი. ყველე ძირით დასჩენილი დედა, დედა და ლამე ცოცხლები მიიყვანა ამ მდგომარეობამდე. ორივესაც თავში წერილი მოითხოვ იმედი მოეცა რომ ზედას სახელი დაერქმევა მის ქუჩას. ვინაიდან იმედი მოეცა. ახლა ალბათ მოიცდის და დაკარგა იმედი. ძალიან გთხოვთ მაპატიოთ ეს შეწუხება, იქნებ იმედის ნაპერი მოგვცეთ რომ ამ მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქალს, ეს ჩაქბედონიოს დიდ დასჩენია მას

შეგვატყობინეთ რაჭა საქმე გთხოვთ დაეხმარეთ. ღმერთს ვთხოვ. დღეს მარიამს ვეხვეწები დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელ აღდგომის დღესასწაულით

ცისანა ელიოზიშვილი

2078. 3. 13.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სახელდების და სიმბოლოების
კომისიას.

კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ
თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ ბოდიშს გიხდით
შეწუხებისათვის. მე ვარ ყოფილი
მამა. გელა მინდელაურის. თქვენთან
წერილში იმედი ჩავუსახა, რომ ჩვენს
ქუჩას დაერქმეოდა გელას სახელი
ამ იმედით ვიყავით მე და ჩემი მეუღლე
ახლა ვიცი მეუღლის დიდი გადაწყვეტილი
თუ ჩემი გელასი. ახლავე ბოლოს
მოვალე დარჩენით. შემოგიძლიათ ყოფილი
მამა. დამეხმარეთ საქმეში რომ გადავ-
წყვიტო ეს მდგომარეობა. ლაშა მინდელაური.

პატივის ცემით: ავთანდილ მინდელაური:
ლილოს დასახლ.
ლეშ. მეფეჩიშვილის
17.

ა. მინდელაური

# სანოტარო აქტი

ორი ათას ნვიდმეტი წლის რვა ნოემბერს, მე, ნოტარიუსს თამარ კობახიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, ბინა 40, მომმართა ივანე მინდიკაურმა, რომელმაც მთხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ივანე მინდიკაურმა (დაბადებული 05.04.1943 წ. თიანეთში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ლილოს დას. მეფრინველეთა ქ.№17, პირადი № 01028009057) მომმართა. მე აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, შემდეგ წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მან განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ივანე მინდიკაური (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), ცისანა ელიოზაშვილს (დაბადებული 18.06.1940 წ. ყვარელში, პირადი № 01028004276), ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებებს:

ცისანა ელიოზაშვილი უფლებამოსილია იმოქმედოს ჩემი სახელით საჯარო და სახელმწიფო დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, იუსტიციის სახლში, სანოტარო ბიუროში, მერიაში, საკრებულოში, მუნიციპალიტეტებში, რაიონულ გამგეობებში და ა.შ.

შესაბამისად უფლებამოსილია შეადგინოს აპლიკაცია, განაცხადი, მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტაციას, ჩემი სახელით შეაგროვოს დოკუმენტები, შეიტანოს განცხადებები, ჩააბაროს და ასევე გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მიიღოს დოკუმენტები, განაცხადოს თანხმობა ჩემი სახელით, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და ა.შ.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

ეს მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს თამარ კობახიძის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი – გადაეცა მინდობ პირს. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10 (ათი) ლარი და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი.

ხელმოწერა:

ნოტარიუსი თამარ კობახიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

75764137524617

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N171308484**

რეგისტრაციის თარიღი

08.11.2017 წ

ნოტარიუსი: თამარ კობახიძე
მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, ბინა №40
ტელეფონი: 270-48-73

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
# კულტურის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 20-01173312826

თარიღი: 27.11.2017

**ადრესატი:**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ასლი
ცისანა ელიოზაშვილი
პირადი ნომერი: 01028004276
მისამართი: თბილისი ლილოს დას.
მეფრინველეთა ქ. N 8

ქალბატონო თინათინ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან შემოვიდა მოქალაქე ცისანა ელიოზაშვილის წერილი (მერიის რეგისტ. N19-01173214-01), რომელიც ლილოს დასახლებაში, მეფრინველეობის ქუჩას, სადაც ცხოვრობდა აფხაზეთში დაღუპული ქართველი მებრძოლი, გელა მინდიკაურის სახელის მინიჭების საკითხს ეხება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით აღნიშნულ წერილს შემდგომი რეაგირებისათვის და გთხოვთ, გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 8 გვერდი.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი                                        სოფიო ხუნწარია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/27690
16/11/2017

27690-04/07-2-201711161804

ქალაქ თბილისის მერიას

ასლი: მოქ.ცისანა ელიოზაშვილს (პ/ნ 01028004276)
მცხ: ლილოს დას. მეფრინველეობის ქ. #8

მიმდინარე წლის 10 ნოემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განცხადებით N55572/01 მომართა მოქალაქე ცისანა ელიოზაშვილმა, რომელიც ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე გახლავთ აფხაზეთში დაღუპული ქართველი მებრძოლის, რომელიც დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით - გელა მინდიკაურის მშობლების წარმომადგენელი.

აღნიშნული განცხადებით, ისინი ითხოვენ, რომ იმ ქუჩას, სადაც ცხოვრობდა გელა მინდიკაური, ხსოვნის პატივსაცემად დაერქვას მისი სახელი.

გამომდინარე იქიდან, რომ ქ.თბილისში ქუჩებისთვის სახელწოდების მინიჭება/გადარქმევა სცილდება სამინისტროს კომპეტენციას, მოგმართავთ თხოვნით განიხილოთ ზემოთ აღნიშნული საკითხი.

დანართის სახით გიგზავნით მოქ. ცისანა ელიოზაშვილის განცხადებას.

პატივისცემით,

გოგი ფაცაცია

მინისტრის მოადგილე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს
ბატონ სოზარ სუბარს

აფხაზეთიდან - სამაჩაბლოდან დევნილის
/გახაზეთ შესაბამისი რეგიონი/
დროებით მცხოვრები
/მისამართი/

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] 599364805 [illegible] 2-74-05-59

/სახელი, გვარი, ტელეფონის

# განცხადება

[illegible]

თარიღი

განმცხადებელი: [illegible]

10/11 2017.

[illegible]
200037646
ვიზის № 555742/01
10 11 2017წ.
ფ 7

საქართველო GEO



სახელი / FIRST NAME
ᲪᲘᲡᲐᲜᲐ
TSISANA

გვარი / LAST NAME
ᲔᲚᲘᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ELIOZASHVILI

მოქ. / CIT: GEO
სქესი / SEX: ᲛᲓ / F
პირადი № / PERSONAL No: 01028004276

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH: 18.06.1940
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY: 02.09.2026

ბარათის № / CARD No: 15IE29432

ხელმოწერა / SIGNATURE

---

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ
KVARELI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
02.09.2016

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ
MINISTRY OF JUSTICE

```
IDGE015IE29432201028004276<<<<
4006181F2609027GEO<<<<<<<<<<<2
ELIOZASHVILI<<TSISANA<<<<<<<<<
```

# განცხადება

ბატონო სოზარ,

აფხაზეთში დაღუპულ მინდიკაური გელას მშობლები 80 წელზე მეტი ხნისანი არიან. დედა გელას სიკვდილმა გაანადგურა. ძალიან მადლობელია მთავრობის. გელას პენსიით ინახავენ თავს. ლოცულობენ იმ ადამიანებზე ვინც ეხმარებათ.

დიდი სათხოვარი აქვთ თქვენთვის. დაეხმარეთ გელა მინდიკაურის სახელი დაერქვას მის ქუჩას, სანამ მშობლები ცოცხლები არიან. ამ თხოვნის შესრულებაში დახმარებას გთხოვენ. ღმერთმა დაგლოცოთ, ისინი თქვენ გლოცავენ. მათ მხოლოდ თქვენი იმედი აქვთ. (რა თქმა უნდა იმათი სახელით გწერთ).

ლილოს დასახლება, მეფრინველეობის ქუჩა № 17. სამგორის რაიონი. ჩემი ტელეფონი 599-36-48-05; გელას დედის ტელეფონი: 790-74-19-97.

მეზობელი, გელას ყოფილი პედაგოგი: ცისანა ელიოზაშვილი

# მოთხოვნა

80 წელს გადაცილებული მშობლები გელას დედა და მამა ხშირად ვდგავართ კარებთან და თითქოს ველოდებით, გზას გავყურებთ, ვერ შევეჩვიეთ, რომ ის არ დაბრუნდება. ჩვენი სიცოცხლე ფუჭია. ერთი თხოვნა მაქვს, მთელ საქართველოს, დედა თბილისს, ბატონ სოზარ სუბარს, ვინც მე დამეხმარება, მთელი გულით გთხოვთ დამეხმარეთ, ჩემი გელა მაშინ გამიცოცხლდება თუ შეასრულებთ უბედური დედის თხოვნას. ლილოს დასახლებაში 4 თუ 5 მეფრინველეობის ქუჩაა. გთხოვთ გელა მინდიკაურის სახელი დაარქვით ჩემს ქუჩას. სადაც ის დაიბადა და გაიზარდა. დიდი მადლობელი ვარ მთავრობის ყველა იმ დახმარებისთვის რაც აქამდე გაუწევია. ამ მოთხოვნის შესრულებისას მე ვიტყვი რომ გამიცოცხლდა გელა. გულდათუთქული დედა ლიზა ზვიადაური-მინდიკაურისა. მამა ივანე მინდიკაური. თბილისი. ლილოს დას. მეფრინველეობის ქ. 17

01.11.2017 წელი.

ხელმოწერა: ი. მინდიკაური

ლ. მინდიკაური

გელა მინდიკაური დაიბადა 1969 წლის 6 მარტს. 1986 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 107-ე საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის მე-8 საავადმყოფოში. 1987 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. სამხედრო მოვალეობის მოხდის შემდეგ 1989 წელს შედის ავღანელთა კავშირში. 1991 წელს მუშაობას იწყებს კერძო დეტექტივად თბილისში. ამავე წელს შექმნა ოჯახი. 1992 წელს შევიდა სამგორის რაიონის მე-8 პოლკის ეროვნულ არმიაში. აფხაზეთის მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით შეიქმნა საზოგადოება „თბილისელი“ რომლის წევრიც გახდა გელა და აქედან გაიწვიეს აფხაზეთში. 1992 წლის 4 დეკემბერს საქართველოს ერთიანობის დასაცავად ბრძოლაში ჩაება ოჩამჩირის რაიონში. საბრძოლო ოპერაციების დროს გელა სამედიცინო დახმარებასაც უწევდა მებრძოლებს, მას მეტსახელად „მგელკაცა“ შეარქვეს. ცხენისწყალთან მომხდარი ერთ-ერთი შეტაკების დროს ბრძოლის ველიდან გამოიყვანა ორი დაჭრილი, მესამედ შებრუნებული გელა დაეცა მტრის ტყვიით განგმირული. 10 დღის შემდეგ მისი გვამი მიიღეს აფხაზი ტყვეების სანაცვლოდ. გელა მინდიკაურის ხსოვნა სამარადისოთ დარჩება მისი ნათესავებისა და ახლობლების, მისი მეუღლის თამილა ჭინჭარაულის გულში.

გელა მინდიკაური სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია.

გამომცემლობა „სამშობლო„ თბილისი 1996წ.

ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ დოსნაძე

[illegible] და [illegible] დღე ი

მარტი. რომელიც ამიერიდან მუდამ ცრემლიანი იქნება ჩვენთვის, ალბათ სიტყვა უძლურია იმ ტკივილის გადმოსაცემად, რაც შენს ნაადრევად დაბერებულ მშობლებს, გულმოკლულ და-ძმებს, ფრთა ჩამოტეხილ მეუღლეს დაუტოვე. 24 წელიწადს შენს სამარადისო სასუფეველში მოგილოცავ ჩვენო „მგელკაცა" ამ სახელით გიცნობდა თურმე მთელი შენი საძმო. საზ-ბა. „თბილისელი" ამ სახელის გამართლება იყო შენი საქციელი, როდესაც დაუფიქრებლად შეხვედი ბრძოლის ველზე, გამოიყვანე თიანეთელი ნუგზარ ხუცურაული, ოზურგეთელი ჯენედ ჯიჯეიშვილი, მესამე შესვლაზე ცეცხლის ალში დაბრუნდი მებრძოლის გამოსაყვანად და მტრის ტყვიამ განგმირა შენი გული.

1992 წელი. 4 დეკემბერი. მარადიულად დაზამთრდა ჩვენს გულებში ჩვენო პატარა და დიდო ბიჭო, მაგრამ შენს მოლოდინს ვერ ველევით, დაგვაწყდა თვალები კარისკენ, რადგან გულს არ სჯერა. არ სურს იმის დაჯერება, რომ შენი სიცოცხლის სანთელი გზის დასაწყისშივე ჩაქრა. მშვიდობით ჩვენო მარად 23 წლის ვაჟკაცო, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო. ნუგეშად შენი ვაჟკაცური სახელი გვრჩება, რომელიც ქართული მიწის ერთიანობას ანაცვალე. მარად ნათელში ყოფილიყოს შენი რაინდული სული. შენ 1992 წლის დეკემბრის 7-ში გეწვია ვერაგი მტრის ტყვია. შენგან შვილიც კი არ დაგვრჩა. განგებამ თუ გაუგებრობამ, შენი სახელი დაგვრჩა შენგან ყველაფრად გელა „მგელკაცა". უბედური დედა ლიზა ზვიადაური-მინდიკაური. მამა ივანე მინდიკაური.

[illegible]

## სანოტარო აქტი

ორი ათას თორმეტი წლის რვა ნოემბერს, მე, ნოტარიუსს თამარ კობახიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, ბინა 40, მომმართა ივანე მინდიკაურმა, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ივანე მინდიკაურმა (დაბადებული 05.04.1943 წ. თიანეთში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ლილოს დას. მეფრინველეთა ქ.№17, პირადი № 01028009057) მომმართა. მე აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მან განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

### მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ივანე მინდიკაური (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), ცისანა ელიოზაშვილს (დაბადებული 18.06.1940 წ. ყვარელში, პირადი № 01028004276), მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილებანი:

ცისანა ელიოზაშვილი უფლებამოსილია იმოქმედოს ჩემს მაგივრად საჯარო და სახელმწიფო დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, იუსტიციის სახლში, სანოტარო ბიუროში, მერიაში, საკრებულოში, მუნიციპალიტეტებში, რაიონულ გამგეობებში და ა.შ.

შესაბამისად უფლებამოსილია შეავსოს აპლიკაცია, განაცხადი, მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტაციას, ჩემი სახელით შეაგროვოს დოკუმენტები, შეიტანოს განცხადებები, ჩააბაროს და უკან გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მიიღოს დოკუმენტები, განაცხადოს თანხმობა ჩემი სახელით, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და ა.შ.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

ეს მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს თამარ კობახიძის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი – გადაეცა მინდობით პირს. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10 (ათი) ლარი და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი.

ხელმოწერა: ______________________

ნოტარიუსი თამარ კობახიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
75764137524617

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

## N171308484

რეგისტრაციის თარიღი

08.11.2017 წ

ნოტარიუსი: თამარ კობახიძე
მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, ბინა №40
ტელეფონი: 270-48-73

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
# სამგორის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
# SAMGORI DISTRICT MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **37-01173181336**

თარიღი: **14.11.2017**

**ადრესატი:**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გეგზავნებათ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობაში 2017 წლის 9 ნოემბერს შემოსული, ივანე მინდიკაურის N19/01173131705-37 განცხადება, სადაც ითხოვს ქუჩის სახელდების შეცვლას, მისამართზე: ქ. თბილისის, სამგორის რაიონის, ლილოს დას. მეფრინველეობის N17.

თანდართული: 8 (რვა) ფურცელი.

პატივისცემით,

სამგორის რაიონის გამგეობა - გამგებლის მოადგილე (პრობლემებისა და საჭიროებების კვლევის მიმართულებით)

კახა ბოლქვაძე

# მოთხოვნა

80 წელს გადაცილებული მშობლები გელას დედა და მამა ხშირად ვდგავართ კარებთან და თითქოს ველოდებით, გზას გავყურებთ, ვერ შევეჩვიეთ, რომ ის არ დაბრუნდება. ჩვენი სიცოცხლე ფუჭია. ერთი თხოვნა მაქვს, მივმართავ სამგორის რაიონის გამგებელს, მთელი გულით გთხოვთ დამეხმარეთ, ჩემი გელა მაშინ გამიცოცხლდება თუ შეასრულებთ უბედური დედის თხოვნას. ლილოს დასახლებაში 4 თუ 5 მეფრინველეობის ქუჩაა. გთხოვთ გელა მინდიკაურის სახელი დაარქვით ჩემს ქუჩას, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა. დიდი მადლობელი ვარ მთავრობის ყველა იმ დახმარებისთვის რაც აქამდე გაუწევია. ამ მოთხოვნის შესრულებისას მე ვიტყვი რომ გამიცოცხლდა გელა. გულდათუთქული დედა ლიზა ზვიადაური-მინდიკაურისა. მამა ივანე მინდიკაური.

თბილისი. ლილოს დასახ. მეფრინველეობის ქ. №17.

01.11.2017 წელი.

ხელმოწერა: ი. მინდიკაური

ლ. მინდიკაური

გელა მინდიკაური დაიბადა 1969 წლის 6 მარტს. 1986 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 107-ე საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის მე-8 საავადმყოფოში. 1987 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. სამხედრო მოვალეობის მოხდის შემდეგ 1989 წელს შედის ავღანელთა კავშირში. 1991 წელს მუშაობას იწყებს კერძო დეტექტივად თბილისში. ამავე წელს შექმნა ოჯახი. 1992 წელს შევიდა სამგორის რაიონის მე-8 პოლკის ეროვნულ არმიაში. აფხაზეთის მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით შეიქმნა საზოგადოება „თბილისელი“ რომლის წევრიც გახდა გელა და აქედან გაიწვიეს აფხაზეთში. 1992 წლის 4 დეკემბერს საქართველოს ერთიანობის დასაცავად ბრძოლაში ჩაება ოჩამჩირის რაიონში. საბრძოლო ოპერაციების დროს გელა სამედიცინო დახმარებასაც უწევდა მებრძოლებს, მას მეტსახელად „მგელკაცა“ შეარქვეს. ცხენისწყალთან მომხდარი ერთ-ერთი შეტაკების დროს ბრძოლის ველიდან გამოიყვანა ორი დაჭრილი, მესამედ შებრუნებული გელა დაეცა მტრის ტყვიით განგმირული. 10 დღის შემდეგ მისი გვამი მიიღეს აფხაზი ტყვეების სანაცვლოდ. გელა მინდიკაურის ხსოვნა სამარადისოთ დარჩება მისი ნათესავებისა და ახლობლების, მისი მეუღლის თამილა ჭინჭარაულის გულში.

გელა მინდიკაური სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია.

გამომცემლობა „სამშობლო„ თბილისი 1996წ.

ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ დოსნაძე

გელა პირველად მოვიდა გაზაფხული და შენი დაბადების დღე 6 მარტი. რომელიც ამიერიდან მუდამ ცრემლიანი იქნება ჩვენთვის, ალბათ სიტყვა უძლურია იმ ტკივილის გადმოსაცემად, რაც შენს ნაადრევად დაბერებულ მშობლებს, გულმოკლულ და-ძმებს, ფრთა ჩამოტეხილ მეუღლეს დაუტოვე. 24 წელიწადს შენს სამარადისო სასუფეველში მოგილოცავ ჩვენო „მგელკაცა“ ამ სახელით გიცნობდა თურმე მთელი შენი საძმო. საზ-ბა. „თბილისელი“ ამ სახელის გამართლება იყო შენი საქციელი, როდესაც დაუფიქრებლად შეხვედი ბრძოლის ველზე, გამოიყვანე თიანეთელი ნუგზარ ხუცურაული, ოზურგეთელი ჯენედ ჯიჯეიშვილი, მესამე შესვლაზე ცეცხლის ალში დაბრუნდი მებრძოლის გამოსაყვანად და მტრის ტყვიამ განგმირა შენი გული.

1992 წელი. 4 დეკემბერი. მარადიულად დაზამთრდა ჩვენს გულებში ჩვენო პატარა და დიდო ბიჭო, მაგრამ შენს მოლოდინს ვერ ველევით, დაგვაწყდა თვალები კარისკენ, რადგან გულს არ სჯერა. არ სურს იმის დაჯერება, რომ შენი სიცოცხლის სანთელი გზის დასაწყისშივე ჩაქრა. მშვიდობით ჩვენო მარად 23 წლის ვაჟკაცო, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო. ნუგეშად შენი ვაჟკაცური სახელი გვრჩება, რომელიც ქართული მიწის ერთიანობას ანაცვალე. მარად ნათელში ყოფილიყოს შენი რაინდული სული. შენ 1992 წლის დეკემბრის 7-ში გეწვია ვერაგი მტრის ტყვია. შენგან შვილიც კი არ დაგვრჩა. განგებამ თუ გაუგებრობამ, შენი სახელი დაგვრჩა შენგან ყველაფრად გელა „მგელკაცა“. უბედური დედა ლიზა ზვიადაური-მინდიკაური.

## სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის რვა ნოემბერს, მე, ნოტარიუსს თამარ კობახიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, ბინა 40, მომმართა ივანე მინდიკაურმა, რომელმაც მთხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ივანე მინდიკაურმა (დაბადებული 05.04.1943 წ. თიანეთში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ლილოს დას. მეფრინველეთა ქ.№17, პირადი № 01028009057) მომმართა. მე აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, შემდეგ წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მან განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

### მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ივანე მინდიკაური (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), ცისანა ელიოზაშვილს (დაბადებული 18.06.1940 წ. ყვარელში, პირადი № 01028004276), ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებებს:

ცისანა ელიოზაშვილი უფლებამოსილია იმოქმედოს ჩემს ნაცვლად საჯარო და სახელმწიფო დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, იუსტიციის სახლში, სანოტარო ბიუროში, მერიაში, საკრებულოში, მუნიციპალიტეტებში, რაიონულ გამგეობებში და ა.შ.

შესაბამისად უფლებამოსილია შეავსოს აპლიკაცია, განაცხადი, მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტაციას, ჩემი სახელით შეაგროვოს დოკუმენტები, შეიტანოს განცხადებები, ჩააბაროს და უკან გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მიიღოს დოკუმენტები, განაცხადოს თანხმობა ჩემი სახელით, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და ა.შ.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

ეს მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს თამარ კობახიძის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი – გადაეცა მინდობილ პირს. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10 (ათი) ლარი და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი.

ხელმოწერა: [signature]

ნოტარიუსი [signature] [stamp] თამარ კობახიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

75764137524617

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

## N171308484

რეგისტრაციის თარიღი

08.11.2017 წ

ნოტარიუსი: თამარ კობახიძე
მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, ბინა №40
ტელეფონი: 270-48-73

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: 03-031816338
თარიღი: 12/06/2018

**ადრესატი:** ცისანა ელიოზაშვილი
**პირადი ნომერი:** 01028004276
**მისამართი:** თბილისი ლილოს დას. მეფრინველეთა ქ. N 8

ქალბატონო ცისანა,

ქ.თბილისის მუნიციპლაიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენს მიერ შემოტანილი განცხადებები 19/0318072109-03, 19/0318072108-03, 15-031733161-03 და 16-03173203-03, რომლებითაც ითხოვდით ქალაქ თბილისის სამგორის რაიონში არსებული მეფრინველეთა ქუჩის სახელის შეცვლას და მისთვის გელა მინდიკაურის სახელის მინიჭებას.

მოგახსენებთ, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე განვითარებული იყო მეფრინველეთა მეურნეობები და აღნიშნული დასახელება ტოპონიმურ სახელწოდებად ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, ქუჩაზე უკვე განცორხიელებულია სისტემური ნუმერაციები და ისინი რეგისტრირებულია არაერთ კერძო თუ საჯარო მონაცემთა ბაზაში და აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს მთელ რიგ გაუგებრობებს.

ყოველი ზემოხსენებულიდან გამომდინარე კომისია შეუძლებლად მიიჩნევს თქვენი მოთხოვნის დაკმაოფილებას.

ასევე აღსანიშნავია, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეისწავლა გელა მინდიკაურის ბიოგრაფია და აფასებს მის მიერ ქვეყნისთვის გაწეული სამსახურის მნიშვნელობას. შესაბამისად, ხელახალი მომართვის შემთხვევაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მზადაა განიხილოს რომელიმე უსახელო ქუჩისთვის გელა მინდიკაურის სახელის მინიჭების საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

თ ნიბლოშვილი

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: 03-031733230
თარიღი: 28/11/2017
პინი: ####

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ადრესატი: ივანე მინდიკაური
მისამართი: ქ.თბილისი,ლილოს დასახლება მეფრინველეობის N17

ასლი:

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობა
მისამართი: შარტავას 7

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2017 წლის 27 ნოემბრის საქმე N16-03173203-03, რომლითაც ითხოვთ სამგორის რაიონში, ლილოს დასახლებაში მეფრინველეობის ქუჩის ერთ-ერთი მონაკვეთისთვის გელა მინდიკაურის სახელის მინიჭებას.
"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების მე-3 მუხლის დ) პუნქტის მიხედვით სახელმწიფო მოღვაწე არის პირი, რომელსაც თავისი სახელმწიფოებრივ-თანამდებობრივი მდგომარეობის ან/და პოლიტიკური ავტორიტეტის საფუძველზე, განსაკუთრებული დამსახურება აქვს საქართველოს წინაშე ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში; იმავე მუხლის ე) ქვეპუნქტით საზოგადო მოღვაწე არის პირი, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს საქართველოს ან/და კაცობრიობის წინაშე, კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების, სამშობლოს დაცვის ან საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში ან საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროში;

ვინაიდან ზემოთ ხსენებული წესის მითითებული მუხლი სახელდებას შესაძლებელს ხდის მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის შემთხვევაში, ხოლო თქვენს მიერ წარმოდგენილი განცხადებით არ დგინდება გელა მინდიკაურის ღვაწლი, რომლის გამოც შესაძლებელი იქნება გეოგრაფიულ ობიექტს მისი სახელი მიენიჭოს, კომისიას შეუძლებლად მიაჩნია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გელა მინდიკაური

(1969-1992)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი

დაიბადა 1969 წელს. 1986 წელს დაამთავრა თბილისის 107 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის მე-8 საავადმყოფოში. 1987 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1989 წელს შედის ავღანელთა კავშირში. 1991 წელს მუშაობას იწყებს კერძო დეტექტივად თბილისში. 1992 წელს შევიდა სამგორის რაიონის მე-8 პოლკის ეროვნულ არმიაში. აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით შეიქმნა საზოგადოება „თბილისელი", რომლის წევრიც გახდა გელა მინდიკაური. სწორედ აქედან გაიწვიეს აფხაზეთში.

1992 წლის 4 დეკემბერს საქართველოს ერთიანობის დასაცავად ბრძოლაში ჩაება ოჩამჩირის რაიონში. ბრძოლის დროს ის სამედიცინო დახმარებას უწევდა მებრძოლებს. განსაკუთრებული სიმამაცის გამო მეტსახელად „მგელკაცა" შეარქვეს. სოფელ ცხენისწყალთან მომხდარი ერთ-ერთი შეტაკების დროს ბრძოლის ველიდან გამოიყვანა ორი დაჭრილი, მესამედ შესვლისას თვითონ იმსხვერპლა მტრის ტყვიამ. 10 დღის შემდეგ მოხდა მისი ნეშტის გადაცვლა აფხაზი ტყვეების სანაცვლოდ.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია III ხარისხის ორდენით.